ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 287

"14" ივნისი 2024 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, კოტე აფხაზის ქ. №15-ში მდებარე 32 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.03.038.042) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ხალედ ალრაჯჰი ჰოლდინგ კომპანისთვის" (ს/ნ. 445483343) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, კოტე აფხაზის ქ. №15-ში მდებარე 32 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.03.038.042) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ხალედ ალრაჯჰი ჰოლდინგ კომპანისთვის" (ს/ნ. 445483343) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 29 მაისის №24.895.1015 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, კოტე აფხაზის ქ. №15-ში მდებარე 32 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.03.038.042) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ხალედ ალრაჯჰი ჰოლდინგ კომპანისთვის" (ს/ნ. 445483343) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 9600 (ცხრა ათას ექვსასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე